"სარბიელის" სინის ისტორია

სინი ქართული რაგბის შინაური ტრადიციული ჯილდოა

საქართველოში სინის ისტორია 1995 წელს იწყება, როდესაც, ქართული რაგბის მემატიანემ, იმხანად კი სპორტულ გაზეთ "სარბიელში"-ც მომუშავე, ზაალ გიგინეიშვილმა ზელანდიური (1902 წელს დაარსებული) "რანფერლის ფარის" პრინციპი ჩვენებურად გადმოამღერა. თავად სინი - ძველმა მორაგბემ და მოქანდაკე გია ჯაფარიძემ თითბრიდან გამოჭედა, დამზადების ხარჯი კი "სარბიელმა" გაიღო. მიზეზი მარტივი იყო - წლის ნებისმიერ დროს გარკვეულიყო საუკეთესო გუნდი და ჩემპიონატის რიგით მატჩებს მეტი ეშხიც შემატებოდა.

სინი მარტივად თამაშდებოდა: მფლობელი უნდა გამოგეწვია და გეძლია, ჯილდო რომ გადმოეცა. ეს დაშვებული იყო ჩემპიონატის გარეშეც, მაგრამ ჯილდოსთვის ცილობა მეტწილად მაინც კალენდარულ მატჩებში იმართებოდა. გაზეთმა თავად შეარჩია პირველი რკენის მონაწილენი - "თბილისი" (დღეს ლოკომოტივი) და "გუმარი" (1998 წელს დაიშალა), გამარჯვებული კი გუმარი გახდა 26:11. თავიდან სინი არ ერგებოდათ, იმერის (დასავლეთის) გუნდებს, რადგან იმერლებს წაგებულ ჯილდოთა დაბრუნება არ სჩვეოდათ.

სინი აქამდე სულ 23-ჯერ გათამაშებულა. მიზეზთა გამო იყო წყვეტები, რეგულარულად 1995-1997 და 2005 წლებში თამაშდებოდა, თითო რკენა - 2009 და 2013 წელს მოეწყო. ბოლო გამარჯვებულია "ყოჩები", რომელმაც ბოლო წუთებში 3 ლელოს დადებით ძლია "ლელო" 29:27. მას შემდეგ სინი გაქრა და ოდენ საძიებელიც კი გაგვიხდა.

2022 წელი ტრაგიკულად დაიწყო, საყოველთაო პანდემიამ ზაალ გიგინეიშვილი შეიწირა. მის საპატივცემულოდ ტრადიციის აღდგენა დავისახეთ - ქართული რაგბის ქომაგმა რამაზ უკლებამ სინი მოიძია და კავშირს დაუბრუნა, ჩვენც 2022-2023 წლის ახალი გათამაშების "ყოჩებსა" - "ლელოს" შორის მატჩს დავუდარაჯდით და ვაახლებთ ამ რკენაზე (14/10 რაგბი პლატო 18.00) სინის ტრადიციას, განახლებული წესებით.

სინის გათამაშების შემოკლებული წესები

1 მისთვის ცილობა შეუძლია მხოლოდ საქართველოს რაგბის კავშირის წევრი კლუბების კაცთა პირველ გუნდს. (ამიერიდან დასავლეთის გუნდებსაც)

2 სინი გარდამავალია: მფლობელი იცავს მოცილისგან და თუ წააგო, მასვე იქვე, რკენის დამთავრებისთანავე გადასცემს.

3 სინი ვერავის გადაეცემა სამუდამოდ, მფლობელს სინი შესანახად დროებით გადაეცემა.

4 სინი თამაშდება ავტომატურად: შინაური პირველობის (ამჟამად დიდი 10-ის) ყოველ მატჩში, რომელშიც მონაწილეობს მფლობელი.

5 სინი არ თამაშდება:

5.1 საქართველოს უმაღლესი ლიგის (ამჟამად დიდი 10-ის) პლეი-ოფში - რათა იგი არ დაჩრდილოს.
5.2 თუ მფლობელი მონაწილეობს ევრო-ტურნირზე და უწევს მეორე შემადგელობის გამოყვანა.

6 სინის დასაუფლებლად მოცილემ მფლობელს უნდა მოუგოს. ყველა სხვა შემთხვევაში სინი მფლობელს რჩება; სინის რკენა ნომინალურ 80-წუთაა - ფრეზე დასანიშნი დამატებითი დროის გარეშე.

7 რკენის შედეგი გინდაც შეცვალოს კავშირის სადისციპლინო კომისიამ, სინი მფლობელს უნარჩუნდება.

სინის ყველა რკენა

N	თარიღი	მფლობელი	-	მოცილე
1	28/04/1995	@ გუმარი	26:11	თბილისი
2	09/05/1995	# გუმარი	17:17	თბილისი
3	13/06/1995	გუმარი	31:13	ყოჩები
4	20/06/1995	გუმარი	31:13	თბილისი
5	25/10/1995	გუმარი	14:16	თბილისი @
6	31/10/1995	თბილისი	6:14	გუმარი @
7	11/05/1996	გუმარი	6:15	ყოჩები @
8	02/09/1996	ყოჩები	6:13	გუმარი @
9	05/10/1996	გუმარი	17: 0	ქორები
10	10/10/1996	გუმარი	21: 9	ყოჩები
11	18/11/1996	გუმარი	13:16	ყოჩები @
12	02/12/1996	ყოჩები	13:30	გუმარი @
13	07/06/1997	გუმარი	12:31	ყოჩები @
14	20/06/1997	ყოჩები	15:12	ქორები
15	19/07/1997	ყოჩები	21:20	გუმარი
16	14/09/2005	ყოჩები	5:45	ლოკომოტივი @
17	19/09/2005	ლოკომოტივი	13: 6	ხულიგანა
18	14/10/2005	ლოკომოტივი	40:11	ხულიგანა
19	20/10/2005	ლოკომოტივი	28:11	აკადემია
20	01/12/2005	ლოკომოტივი	40: 5	ხულიგანა
21	11/12/2005	ლოკომოტივი	30: 6	აკადემია
22	19/09/2009	ლოკომოტივი	20:27	ლელო @
23	08/12/2013	ლელო	27:29	ყოჩები @

რკენის გამარჯვებული, @ ახალი მფლობელი

ფრეზე სინი მფლობელს რჩება (ბალანსში მოცილეს ეთვლება წაგება)

თბილისი - ქორები - ლოკომოტივი ერთი და იგივე კლუბია

გუნდების საერთო ბალანსი

კლუბი	ხანა	რკენა:	მ-წ
გუმარი	1995-1997	14:	9-5
ლოკომოტივი [თბილისი - ქორები]	1995-2009	14:	7-7
ყოჩები	1995-2013	11:	6-5
ლელო	2005-2013	2:	1-1
აკადემია	2005-2005	2:	0-2
ხულიგანა	2005-2005	3:	0-3